სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება №12

2011 წ. 01 მარტი

ქ. თბილისი

მოსწავლე-გამომგონებელთა "ლეონარდო და ვინჩი" კონკურსის გამოცხადების, განაცხადების მიღების ვადების დადგენისა და კონკურსის პირობების დამტკიცების შესახებ

„ნორჩ გამომგონებელთა კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 23 თებერვლის №98 დადგენილებით დამტკიცებული ნორჩ გამომგონებელთა კონკურსის დებულების მე-3 მუხლის, "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს მოსწავლე-გამომგონებელთა კონკურსი სახელწოდებით ლეონარდო და ვინჩი 2011 წლის 1 მარტს;
2. მოსწავლე-გამომგონებელთა კონკურსში საკონკურსო განაცხადების სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდში ან რაიონულ რესურს-ცენტრში წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2011 წლის 1 მარტიდან 2011 წლის 12 აპრილის 18:00 საათამდე.
3. კონკურსის საბოლოო შედეგები გამოცხადდეს არა უგვიანეს 2011 წლის 2 მაისისა.

4. დამტკიცდეს მოსწავლე-გამომგონებელთა კონკურსი „ლეონარდო და ვინჩი“ კონკურსის პირობები თანდართული დანართის შესაბამისად;

5. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორს თ. გორგოძეს ბრძანების საჯაროდ გაცნობისათვის განთავსება სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ვებ-გვერდზე: www.rustaveli.org.ge.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

სულხან სისაური